პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 14 აგვისტო, 1946 წ. № 163 (7686). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პურის დამზადების გეგმის შესრულება პირველი მცნებაა!—მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში—მონტრეს კონვენციის შესახებ შავი ზღვის სრუტეების გამო (1-ლი გვერდი).

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XV სესია (1-ლი გვერდი).

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო (მე-2 და მე-3 გვერდი).

პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის დეპეშები (მე-4 გვერდი).

პურის დამზადების გეგმის შესრულება პირველი მცნებაა!

თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღების გადამწყვეტი პერიოდი დადგა. ახლა თვითეული დღე ძვირფასია მოსავლის აღების დასამთავრებლად. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტასთან ერთად აუცილებელია დროულად შევასრულოთ პურის სავალდებულო ჩაბარების გეგმა, გავანაღდოთ მტს-ების მიერ გაწეულ სამუშაოთა ნატურსაზღაური, დავუბრუნოთ სახელმწიფოს სათესლე სესხი.

დიდი **სტალინი** სოფლის მეურნეობის მუშაკებს ასწავლის: „...ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნებაა — პურის დამზადების გეგმის შესრულება...“.

ამხანაგ სტალინის მითითება ბოლომდე შეიკურად უნდა განვახორციელოთ. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ხელმძღვანელებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

წელს პურის დამზადება ჩვენს რესპუბლიკაში შარშანდელთან შედარებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს. სადაც ამ საქმეს ოპერატიულად ხელმძღვანელობენ, იქ საუკეთესო შედეგებსაც აღწევენ. მაგალითად, ბოლნისის, თბილისის, კაჭრეთის რაიონებმა მთლიანად შეასრულეს მარცვლეულის ყველა სახის დამზადების გეგმები. წითელწყაროს რაიონს 10 აგვისტოსათვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 96,9 პროცენტით. რაიონმა იკისრა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 1.000 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვალი.

მაგრამ ყველგან კარგად როდია საქმე. ყარაიის რაიონმა კარგა ხანია დაამთავრა მოსავლის აღება, ლეწვას, მარცვლის გახმობას, მის დაუყოვნებლივ გაგზავნას მიმღებ პუნქტებში ნაკლები ყურადღება ექცევა. ამიტომ რაიონი ჩამორჩა პურის დამზადებაში. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის თელავის, ახმეტის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ ჩამორჩენა და გავაძლიეროთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. წლევანდელი უხვი მოსავალი იმის საშუალებას იძლევა, რომ წარმატებით შესრულდეს დავალება, გადიდდეს კოლმეურნის შრომადღის ნატურალური ხვედრი. ამისათვის საჭიროა დაუღალავად ვიმუშაოთ მოსავლის აღებაზე, არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი მარცვალი.

ასე არ მუშაობენ საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი. ისინი არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ მოსავლის აღებას, სუსტად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. ქარელის რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანონ. მათი ვალია აღკვეთონ დანაკარგი, დარაზმონ კოლმეურნე მასები მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

პურის ჩაბარების გეგმის შესრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მარცვლის დროულად გალეწვა. ამ წესის შეუსრულებლობა აფერხებს ჩაბარებას. თელავის რაიონში მოსავლის 98,8 პროცენტია აღებული, მაგრამ გალეწილია მხოლოდ 45,6 პროცენტი. საგარეჯოს რაიონში ხელითა და მარტივი მანქანებით მოსაელი 10 აგვისტოსათვის აღებული იყო 2.858 ჰექტარზე, გალეწილი კი ჰქონდათ მხოლოდ 312 ჰექტარის მოსავალი.

საჭიროა გავაძლიეროთ ლეწვის ტემპები, უზრუნველვყოთ სალეწი მანქანების სადღეღამისო მუშაობა.

პურის წარმატებით დამზადება ბევრად არის დამოკიდებული სატრანსპორტო ბრიგადების მოქნილ მუშაობაზე. სახელმწიფომ დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეობებს. მრავალი ავტომანქანაა გამოყოფილი მიმღებ პუნქტებში პურის გადასაზიდავად. საჭიროა არ დავაყოვნოთ გადაზიდვა და ავტომანქანები სრული ნაყოფიერებით ვამუშაოთ. ამასთან გადაზიდვაზე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საჭაპანო ტრანსპორტი.

დამზადების ტემპის დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გალეწილი მარცვლეულის დროულად გახმობას. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ დახურული კალოებისა და სახმობების მოწყობას.

პურის ჩაბარების გეგმის შესრულებაში საპატიო მოვალეობა აკისრიათ დამამზადებელ ორგანიზაციებს. ზოგიერთი პუნქტის ცუდი მუშაობით ბრკოლდება ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე. ქარელის მიმღებ პუნქტში (გამგე ქ. გელაშვილი) მოუგვარებელია სადღეღამისო მუშაობა. ზოგჯერ პუნქტი დაკეტილია.

პურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის დიდ სტიმულს იძლევა ავანსის გაცემა. კოლმეურნეობებს უფლება აქვთ გადარიცხონ მარცვლეული ნატურალური ავანსების გასაცემად სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში ფაქტიურად ჩაბარებული მარცვლეულის 15 პროცენტის რაოდენობით. მაშასადამე, რამდენადაც სწრაფი იქნება დამზადების ტემპი, იმდენად მეტი მარცვალი გამოიყოფა კოლმეურნეებისათვის ავანსის მისაცემად. საჭიროა ეს წესი მტკიცედ დავიცვათ, პირველი განალეწი პურით შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიამ ამ დღეებში მიიღო კანონი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიად სამუშაოთა პროგრამა კოლმეურნე გლეხობას მთელ ქართველ ხალხთან ერთად აღაფრთოვანებს ახალ ბრწყინვალე წარმატებათა მოსაპოვებლად.

სოფლის მთელი ძალები, ყველა საშუალებანი მოვახმაროთ მიმდინარე წლის მოსავლის ორგანიზებულად აღებას, პურის ჩაბარების გეგმის სასახელოდ შესრულებას! ამით მნიშვნელოვან წვლილს შევიტანთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიად ამოცანათა წარმატებით განხორციელებაში!

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

სტალინაბადი, 12 აგვისტო. (საქდესი). მუშაობა დაამთავრა ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ. სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ახალ ხუთწლედში ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს მებამბეობის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. 1950 წლისათვის მნიშვნელოვნად გადიდდება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათესი ფართობი, კერძოდ, ბამბის ნათესი გადიდდება 170 ათას ჰექტარამდე.

დიდი ყურადღება ეთმობა პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

მნიშვნელოვნად ფართოვდება საფეიქრო, კვების, მსუბუქი, სამთამადნო და მრეწველობის სხვა დარგები, აგრეთვე ტრანსპორტი.

ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში დაბანდებულ იქნება 318 მილიონი მანეთი.

ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია გურჯაანში

12 აგვისტოს გურჯაანში ჩამოვიდა უკრაინის სსრ სინელნიკოვოს რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელშიაც შედიან უკრაინის კ. პ. (ბ) სინელნიკოვოს რაიკომის მეორე მდივანი ამხ. პ. ბონდარენკო (დელეგაციის ხელმძღვანელი), ილარიონოვოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ველიჩკევიჩი, კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. შლაევი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ვ. კუზნეცოვი, რაიონული გაზეთის რედაქტორი ი. დავიდენკო, ამხ. ა. შიშკოვი და გ. იგნატიევი. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია გურჯაანისა და სინელნიკოვოს რაიონების კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმება.

დელეგაციამ დაათვალიერა გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის, ბაქრაძისა და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები, აგრეთვე ალაზნის სარწყავი არხის სამუშაოთა მიმდინარეობა.

გურჯაანელმა კოლმეურნეებმა სტუმრებს გულთბილი მეგობრული შეხვედრა მოუწყეს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XV სესია

12 აგვისტოს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XV სესია, რომელიც გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. გოჩაშვილმა.

დეპუტატ ე. მურადაშვილის წინადადებით, სესიის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ დეპუტატ ა. გიორგაძეს. დეპუტატ დ. მარიამიძის წინადადებით, სესიის მდივნად ირჩევენ დეპუტატ ნ. არღანაშვილს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XV სესია ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს 1946 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს 1945 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.
2. ორგანიზაციული საკითხები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ნ. სურგულაძემ.

— დიდ სამამულო ომში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი შეუდგა მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლას. ეს მკაფიოდ მოწმობს, თუ რაოდენ უძლეველია საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ხალხთა ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამ დღეებში უმაღლესი საბჭოს X სესიამ დაამტკიცა კანონი საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ახალი ხუთწლედი ჩვენი შრომისა და ბრძოლის დიადი პროგრამაა, რომლის შესრულებაც უზრუნველჰყოფს რესპუბლიკის შემდგომ აყვავებას, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებას.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქალაქო საბჭოს XV სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის 1945 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1946 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთლიანად შეესაბამება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ კანონებს.

ქალაქ თბილისის 1945 წლის ბიუჯეტი შეადგინა 154.380.900 მანეთს. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გასულ წელს შესრულდა 102.6 პროცენტით. შემოსავალმა გასავალს გადააჭარბა 807.200 მანეთით.

მიმდინარე სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი ქალაქ თბილისის 1946 წლის ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის ამოცანებს. წარმოდგენილი ბიუჯეტი თავისი მოცულობით აღემატება როგორც გასული—1945 წლის, ისე ომის წინა პერიოდის, სახელდობრ 1940 წლის ბიუჯეტს, რომელიც უდიდესი მოცულობის იყო.

1946 წლის ბიუჯეტში შემოსავალი გათვალისწინებულია 188.439.000 მანეთის რაოდენობით, ე. ი. 6.443.600 მანეთით მეტი, ვიდრე 1940 წელს ფაქტიურად შემოვიდა, ხოლო 1945 წლისას აღემატება 38.020.000 მანეთით.

შემდეგ სესიამ ბიუჯეტის საკითხზე მოისმინა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივ მომქმედი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ე. დიდიას თანამოხსენება.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები გ. ლუარსაბოვი, ვ. ჩომახიძე, გ. მუხაძე, ბ. ცაგარელი, პ. კილასონია, ბ. გოგოძე, ამხანაგები: ნ. ციცაგი და ბ. კიზირია. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ 1946 წლის ბიუჯეტს და მოიწონეს თბილისის საქალაქო საბჭოს გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ზოგიერთმა მოკამათემ მოითხოვა დამატებითი ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის.

სესიამ მოისმინა მომხსენებლის ნ. სურგულაძის და თანამომხსენებლის ე. დიდიას საბოლოო სიტყვები.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა თბილისის საქალაქო საბჭოს 1946 წლის ბიუჯეტი და თბილისის საქალაქო საბჭოს 1945 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სესიამ დაავალა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეისწავლოს დამატებით ასიგნობათა შესახებ შემოტანილი წინადადებანი და შეძლებისამებრ უზრუნველჰყოს მათი დაფინანსება.

დეპუტატ გ. გოჩაშვილის წინადადებით, სესიამ დაამტკიცა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან ა. ლალაშვილის განთავისუფლება მის სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგედ დამტკიცებულ იქნა დეპუტატი ე. მაზანაშვილი.

ამით დაიხურა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XV სესია.

„ფიცი“ მოსკოვის ეკრანებზე

მოსკოვის გაზეთები კვლავ ათავსებენ მასალებს თბილისის კინოსტუდიის ნაწარმოების, ფილმ „ფიცის“ შესახებ. ამ მასალათა შორის ბევრია მაყურებელთა აღფრთოვანებული შთაბეჭდილებანი.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის ქალაქის საბჭოს ორგანო გაზეთი „მოსკოვსკი ბოლშევიკი“ ათავსებს სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშების შთაბეჭდილებებს „ფიცზე“. ფილმი მუშებმა კოლექტიურად ინახულეს ქარხნის კულტურის სასახლის კინოთეატრში. სურათის განხილვას დაესწრო დაახლოებით 300 კაცი. სიტყვით გამოსული მუშები აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ საბჭოთა კინოხელოვნების ამ დიდი მიღწევის შესახებ და მადლობას გამოსთქვამდნენ იმ შემოქმედებითი კოლექტივისადმი, რომელიც მუშაობდა ფილმის შექმნაზე. ავტოქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვანი აზრით „ფიცი“ ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ფილმია.

ხუთი დღის განმავლობაში აჩვენებდნენ „ფიცს“ სტალინის სახელობის ავტოქარხნის კულტურის სასახლის კინოთეატრში და იგი ინახულა დაახლოებით 12 ათასმა კაცმა.

გაზეთი „სტალინსკი სოკოლ“ ათავსებს ავიატორთა აღტაცებულ გამოხმაურებას ამ ფილმზე. ავიატორებმა „ფიცი“ ინახულეს ლენინის ორდენოსან წითელდროშოვან მოსკოვის პირველ სამხედრო საავიაციო სასწავლებელში. ფილმის კოლექტიური განხილვა შედგა წითელდროშოვან სამხედრო-საჰაერო აკადემიაში, მთელ რიგ ავიანაწილებსა და შენაერთებში.

გაზეთმა „გუდოკმა“ მოათავსა ვრცელი რეცენზია, რომლის ავტორი სწერს, რომ ფილმი „ფიცი“ წარმოადგენს ამაღლებულ, მწყობრ ჰიმნს, რომელშიც შესანიშნავად არის ხოტბაშესხმული სტალინური ფიცის დაურღვევობა, საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, ხალხისა, რომელიც დარაზმულია დიდი სტალინის გენიით და მისი ხელმძღვანელობით.

დნეპრჰესის პირველი ტურბინის მონტაჟი

ზაპოროჟიე, 12 აგვისტო. (საქდესი). სადაცაა ამუშავდება მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ნანგრევებად იყო ქცეული. დნეპრჰესის ახლად აგებული კაშხალი უკვე მზადაა მიიღოს წყლის მძლავრი წნევა.

ამჟამად წყალი გადის კაშხლის ტანში გაკეთებულ ეგრეთწოდებულ ფსკერის ნახვრეტებში, მაგრამ მალე ისინი დაიხურება და დნეპრი მიბრუნდება მარჯვნივ ფარის კედლისაკენ. ამ კედლის აგება სწრაფად დამთავრდება. სიმაღლემ უკვე მიაღწია 35 მეტრს. მალე მდინარის წყალი დაიძრება ფარის კედლის სატურბინო ნახვრეტებში და დაიწყება ელექტროენერგიის გამომუშავება.

მშენებლობაზე დადგა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი—პირველი ტურბინის მონტაჟი. დნეპრჰესის მრავალათასიანი კოლექტივი უდიდესი დაძაბულობით იბრძვის მანქანის დროზე ამუშავებისათვის, ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

წლის დამლევამდე შესრულებულ უნდა იქნას უდიდესი სამუშაო.

ამ თვეში დაიწყება კაშხლის ტანში ფსკერის ნახვრეტების დახურვა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები. 1 დეკემბრისათვის უნდა დამთავრდეს პირველი ტურბინის ფარის განყოფილების ფარების, გისოსებისა და ამწე მექანიზმების მონტაჟი.

15 ოქტომბრისათვის უნდა მომზადდეს და დაკომპლექტდეს საექსპლოატაციო მუშაკთა შტატი. ამავე დროს იწარმოებს მზადება მეორე და მესამე ტურბინის ასამუშავებლად.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მონტრეს კონვენციის შესახებ შავი ზღვის სრუტეების გამო

როგორც ცნობილია, სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ მონტრეს კონვენცია შავი ზღვის სრუტეების შესახებ უნდა გადაისინჯოს, როგორც ისეთი, რომელიც არ შეეფერება ახლანდელი დროის პირობებს. ამასთან სამი მთავრობა შეთანხმდა, რომ შემდგომი ნაბიჯის სახით ეს საკითხი გახდება თემა უშუალო მოლაპარაკებისა სამ სახელმწიფოთაგან თვითეულსა და თურქეთის მთავრობას შორის. ამის შესაბამისად სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა თურქეთში საბჭოთა მთავრობის დავალებით ამა წლის 8 აგვისტოს თურქეთის მთავრობას გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პატივი აქვს აცნობოს თურქეთის მთავრობას ქვემომოყვანილი:

მოვლენებმა, რომლებიც წარსული ომის დროს მოხდა, ნათლად გვიჩვენა, რომ შავი ზღვის სრუტეების რეჟიმი, დაწესებული კონვენციით სრუტეების შესახებ, ხელმოწერილი 1936 წელს მონტრეში, არ შეეფერება შავი ზღვის სახელმწიფოთა უშიშროების ინტერესებს და არ უზრუნველჰყოფს იმ პირობებს, რომელთა დროსაც თავიდან აცილებულ იქნებოდა ამ სრუტეების გამოყენება შავი ზღვის სახელმწიფოთათვის მტრული მიზნებით.

საკმაო იქნება მოვიყვანოთ მთელი რიგი შემთხვევები ამ ომის პერიოდში, როდესაც ღერძის სახელმწიფოებს სრუტეებით შავ ზღვაში შემოჰყავდათ და შავი ზღვიდან გაჰყავდათ თავიანთი სამხედრო და დამხმარე სამხედრო გემები, რამაც თავის დროზე გამოიწვია სათანადო დემარშები და პროტესტები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას განუცხადა.

1941 წლის 9 ივლისს გერმანიის სარდლობამ სრუტეებით შავ ზღვაში გამოატარა გერმანიის საგუშაგო გემი „ზეეფალკე“, რაც სრუტეების შესახებ კონვენციის უხეში დარღვევა იყო და რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის მხრივ წარდგინება თურქეთის მთავრობისადმი.

1941 წლის აგვისტოში თურქეთის ხელისუფლებმა ნება დართეს იტალიის დამხმარე სამხედრო გემ „ტარვიზიოს“ სრუტეებით შავ ზღვაში შემოსულიყო, რამაც აგრეთვე გამოიწვია წარდგინება საბჭოთა მთავრობის მხრივ, რომელმაც თურქეთის მთავრობის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შავ ზღვაში იტალიის დამხმარე გემის შემოსვლა სრუტეების შესახებ კონვენციის დარღვევა იყო.

1942 წლის 4 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ კვლავ მიაპყრო თურქეთის მთავრობის ყურადღება იმას, რომ გერმანიას განზრახვა აქვს სრუტეებით შავ ზღვაში შემოიყვანოს დამხმარე სამხედრო გემები 140 ათასი ტონა საერთო წყალწყვის სავაჭრო გემების სახით. ეს გემები განკუთვნილი იყო შავ ზღვაში ღერძის ქვეყნების სამხედრო ძალების შემოსაყვანად და სამხედრო მასალების შემოსატანად. თავის წარდგინებაში საბჭოთა მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „შავ ზღვაში სრუტეებით აღნიშნული გემების გამოშვება იქნება აშკარა დარღვევა კონვენციისა სრუტეების რეჟიმის შესახებ, რაც დადებულია მონტრეში, რამდენადაც ეს გემები გადაცემულია გერმანიის მთავრობის განკარგულებაში და არსებითად ისინი წარმოადგენენ დამხმარე სამხედრო ხომალდებს“.

1944 წლის ივნისში საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ 1944 წლის მაისის ბოლოს და ივნისის დამდეგს ადგილი ჰქონდა შავი ზღვიდან ეგეოსის ზღვაში სრუტეებით გერმანიის სხვადასხვა ტონაჟის „ემსის“ ტიპისა (8 გემი) და „კრიგტრანსპორტის“ ტიპის (5 გემი) სამხედრო და სამხედრო-დამხმარე გემების გასვლის მთელ რიგ შემთხვევებს; ეს გემები მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო-საზღვაო ოპერაციებში შავ ზღვაზე.

ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან ცხადი ხდება, რომ გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ წარსული ომის დროს სრუტეების შესახებმა კონვენციამ ხელი ვერ შეუშალა მტრულ სახელმწიფოებს სრუტეები გამოეყენებინათ სამხედრო მიზნით საბჭოთა კავშირისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ამასთან თურქეთის მთავრობას არ შეუძლია პასუხი არ აგოს ასეთი მდგომარეობისათვის.

ამის გამო საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა სამი სახელმწიფოს—დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ბერლინის კონფერენციაზე, რომელიც 1945 წლის ივლის-აგვისტოში შედგა, განხილულ ყოფილიყო საკითხი იმის შესახებ, რომ მონტრეს კონვენციით დაწესებული რეჟიმი სრუტეებისა, არ შეეფერება თანამედროვე პირობებს და რომ საჭიროა დაწესდეს სრუტეების ახალი რეჟიმი. როგორც ცნობილია, სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ა) სამმა მთავრობამ აღიარა, რომ მონტრეში დადებული კონვენცია სრუტეების შესახებ უნდა გადაისინჯოს, როგორც ისეთი, რომელიც არ შეეფერება ახლანდელი დროის პირობებს.

ბ) სამი მთავრობა შეთანხმდა, რომ შემდგომი ნაბიჯის სახით ეს საკითხი იქნება თემა უშუალო მოლაპარაკებისა სამ სახელმწიფოთაგან თვითეულსა და თურქეთის მთავრობას შორის.

საბჭოთა მთავრობამ იცის აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1945 წლის 2 ნოემბრის ნოტისა და ბრიტანეთის მთავრობის 1945 წლის 21 ნოემბრის ნოტის შინაარსი ამ საკითხზე, გაგზავნილნი თურქეთის მთავრობის სახელზე.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა სრუტეებისათვის დაწესდეს ახალი რეჟიმი, გამომდინარე შემდეგი პრინციპებიდან:

1. სრუტეები მუდამ ღია უნდა იყოს ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასავლელად.

2. სრუტეები მუდამ ღია უნდა იყოს შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების გასავლელად.

3. სრუტეებით გავლა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის დაუშვებელია, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა.

4. სრუტეების, როგორც შავი ზღვიდან მიმავალი და შავ ზღვაში შემომავალი ერთადერთი საზღვაო გზის რეჟიმის დაწესება უნდა იქნეს თურქეთისა და შავი ზღვის სხვა სახელმწიფოთა კომპეტენცია.

5. თურქეთი და საბჭოთა კავშირი, როგორც ყველაზე უფრო დაინტერესებული სახელმწიფოები და რომელთაც უნარი აქვთ უზრუნველჰყონ სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება და სრუტეების უშიშროება, ერთობლივი საშუალებებით აწყობენ სრუტეების დაცვას სხვა სახელმწიფოების მიერ შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის მტრული მიზნებით სრუტეების გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

საბჭოთა მთავრობა ამ განცხადების შესახებ აცნობებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს“.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის საელჩოების მეშვეობით ლონდონსა და ვაშინგტონში ზემოაღნიშნული აცნობა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს.

თურქეთის მთავრობის პასუხი ზემოხსენებულ ნოტაზე საბჭოთა მთავრობას ჯერ არ მიუღია.

იმ სახლის აღდგენა, სადაც სწარმოებდა რსდმპ-ის 1-ლი ყრილობა

მინსკი, (საქდესი). დაიწყო აღდგენა გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახლისა, რომელშიც 1898 წლის მარტში შედგა რსდმპ-ის პირველი ყრილობა.

გადაწყვეტილია ისტორიულ შენობაში აღდგენილ იქნას მთელი წინანდელი მოწყობილობა. უკვე აღებულია იმ შენობების ნაშთები, რომლებიც გარს ერტყა სახლს. მათ ადგილზე კეთდება პარკი, რაც გათვალისწინებულია რესპუბლიკის დედაქალაქის აღდგენის გენერალური გეგმით.

სახლის აღდგენა დამთავრდება წლის ბოლოსათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის ამხ. ი. ნ. ლალიძის სიტყვა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების დიადი ხუთწლიანი გეგმის კანონი, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ სამშობლოში, სხვა გიგანტურ ამოცანებთან ერთად დიდი მოცულობის სამუშაოებს ისახავს საქართველოს წყალთა მეურნეობის ხაზით.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის აყვავებისა და მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მორწყვა.

დიდმა ლენინმა კავკასიის კომუნისტებისადმი მიმართვაში 1921 წლის 14 მაისს სთქვა: „მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და უფრო გარდაჰქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას".

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ „საჭიროა სოფლის მეურნეობის, უპირველეს ყოვლისა, მორწყვის საქმის გაუმჯობესება".

საქართველოს ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გასწიეს ლენინისა და სტალინის ამ მითითებათა შესასრულებლად.

საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვამ სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისათვის, საქართველოს ეკონომიური სიძლიერის შექმნისა და განმტკიცებისათვის, თავისი გამოხატულება ჰპოვა საირიგაციო მშენებლობის გაშლებით.

უმოკლეს ვადაში აშენდა მაშველის, ტირიფონის, ალაზნის და ჯიქურაულის საინჟინრო სარწყავი სისტემები, დიღმისა და სოღანლუღის წყალსაქაჩი სადგურები მექანიკური რწყვისათვის და სხვა მრავალი წვრილი არხი.

გარდა ამისა, შეკეთდა ძველი პრიმიტიული არხების უმრავლესობა. ამ ღონისძიებათა შედეგად სარწყავი ფართობი საქართველოში 100.000 ჰექტარით გაიზარდა და ამჟამად 240.000 ჰექტარს აღემატება.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ პრიმიტიულ სარწყავ სისტემათა რაოდენობა ჯერ კიდევ სჭარბობს საინჟინრო სისტემებს. იმ დროს, როდესაც საინჟინრო სისტემებზე დამოკიდებული სარწყავი მიწების ფართობი შეადგენს 80.000 ჰექტარს, პრიმიტიულზე 160.000 ჰექტარია, ე. ი. ორჯერ მეტი. გარდა ამისა, არსებულ სისტემებს ახასიათებს მრავალსათავიანობა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სიმცირე, მკვებავი წყაროს (მდინარის) მცირეწყლიანობა და მაგისტრალური არხის უქმი ნაწილის დიდი სიგრძე.

ეს გარემოებანი საგრძნობლად ართულებენ ამ სისტემების ნორმალურ ექსპლოატაციას.

როგორც საინჟინრო, ისე პრიმიტიულ სისტემათა საექსპლოატაციო ღონისძიებებში მთავარი ადგილი უჭირავს არხების წმენდას ნალექებისაგან, რაც დაკავშირებულია მიწის სამუშაოების დიდ რაოდენობასთან და მექანიზმების უქონლობის გამო უმთავრესად მუშახელის საშუალებით ტარდება, ისიც ისეთ დროს, როდესაც მეტად ძნელია საკოლმეურნეო მუშახელის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან მოწყვეტა.

საჭიროა პრიმიტიული სისტემების თანდათანობით რეკონსტრუქცია და მათი საინჟინრო სისტემებად გადაქცევა, ამავე დროს სარწყავი სისტემების ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ ძნელ სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია.

ჩვენს მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, ნაკლებად ტარდება კოლმეურნეობებში ღამით რწყვა, გარდა იმისა, რომ იგი სასარგებლოა კულტურებისათვის, ხელს უწყობს სისტემის განტვირთვას, აადვილებს წყლით ყველა მოსარგებლის დროულად დაკმაყოფილებას. ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს წყლით სარგებლობის გრაფიკის დარღვევას, წყლის დატაცებას, უყაირათოდ გამოყენებას (კორი, ქარილი, საგარეჯო). მართალია, არსებობს მთავრობის სპეციალური დადგენილება წყლით სარგებლობის წესის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი რაიონი რატომღაც სავალდებულოდ არ სთვლის მის განუხრელად შესრულებას. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

სარწყავი სისტემების გარდა დიდი მუშაობა ჩატარდა დასაშრობი ქსელის მშენებლობის ხაზით.

ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება კოლხიდის ჭაობების ამოშრობის, მისი უნაყოფიერესი მიწების გამოყენების და საქართველოს ამ უმშვენიერესი მხარის გაჯანსაღების შესახებ სინამდვილედ იქცა. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად გამშრალი და მეტნაკლებად ექსპლოატაციაში გადაცემულია 9.000 ჰექტარი ახალი ფართობი.

უმაგალითო ტემპებით გაიშალა მშენებლობა წყალთა მეურნეობის ხაზით 1941 წელს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის და 15 ოქტომბრის დადგენილებათა საფუძველზე საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის წინაშე დაისვა მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

მორწყვის დარგში გათვალისწინებულ იქნა აჯამეთის, დოლლაურის ველის, ტირიფონის, სალთვისის, კეხვის, სკრა-ქარელის, მუხრანის, დიღმის, სოღანლუღის, სამშვილდის, ალაზნის და სხვა არხების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც უნდა მიგვეღო 60.000 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი. დაშრალი ფართობების რაოდენობა უნდა გადიდებულიყო 20.000 ჰექტარით.

ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალა სამამულო ომმა. საჭირო შეიქნა მშენებლობათა უმრავლესობის კონსერვაცია.

ომიანობის ძნელ პირობებში ზოგიერთ ობიექტზე მშენებლობა მაინც გრძელდებოდა, რის შედეგადაც სარწყავ ფართობებს შეემატა 3.500 ჰექტარი ახალი ფართობი (ქართლის რაიონებში) და დაშრალ ფართობებს 1.200 ჰექტარი (თიანეთის რაიონი).

ძველთაგანვე მეტად საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება. ამ დიდმნიშვნელოვან, სოფლის მოსახლეობისათვის საარსებო საკითხს თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც 25 წლის მანძილზე გააკეთა ის, რისი გაკეთებაც საუკუნეების განმავლობაში შეუძლებლად ითვლებოდა. მცხეთის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამი წყალსადენი იყო, ახლა იქ 14 წყალსადენია. ახალციხის რაიონში 6 წყალსადენი იყო, ახლა 23 წყალსადენია, კიდევ შენდება 7. ადიგენის რაიონში 7 წყალსადენი იყო, ახლა 42 წყალსადენია და კიდევ შენდება 8. საგულისხმოა, რომ სამამულო ომის დროსაც არ შეჩერებულა ზოგიერთი წყალსადენის მშენებლობა. მარტო გორის რაიონში აშენდა 5 წყალსადენი.

ხუთწლიანი გეგმა საქართველოში მთელ რიგ ახალ სარწყავ სისტემათა მშენებლობას ითვალისწინებს.

უნდა დამთავრდეს ალაზნის სარწყავი სისტემის მთლიანი რეკონსტრუქცია, აგებულ იქნას ქართლის რაიონებში დოლლაურის ველის, სკრა-ქარელის, სალთვისის, კეხვის, დოეს-გრაკალის და სხვა ახალი სარწყავი სისტემები. ამ ღონისძიებათა შორის ღირსშესანიშნავია ზემო-სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს საქართველოს დედაქალაქის მახლობლად მდებარე 37,5 ათასი ჰექტარი უნაყოფო მიწა გადავაქციოთ ვენახების, ხეხილის და სხვა კულტურების აყვავებულ ბაღნარად.

ამასთან, აღნიშნული სისტემის მაგისტრალურ არხზე აიგება ჰიდროელსადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე 36.000 კილოვატს გადააჭარბებს.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა გაფართოებას, რის შედეგადაც საექსპლოატაციოდ გადაცემულ უნდა იქნას 20 ათასი ჰექტარი მიწა.

ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად მელიორაციის, კერძოდ ირიგაციის დარგში უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს და რეკონსტრუირებულ იქნას სალთვისის, დოეს-გრაკალის, სკრა-ქარელის, კეხვის სარწყავი სისტემები. ამის შედეგად 1946 წელს და 1947 წლის დამდეგისათვის სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის უნდა მომზადდეს 16.370 ჰექტარი სარწყავი ფართობი.

ახალ ხუთწლედში სარწყავ სისტემათა მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 108 მილიონი მანეთი, არსებულ სისტემათა რეკონსტრუქციაზე — 80 მილიონი მანეთი.

მხარს ვუჭერ რა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე განსახილველად წარმოდგენილ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალ ხუთწლიან გეგმას, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ წინსვლას, ღრმა რწმენას გამოვთქვამ, რომ წყალთა მეურნეობის სისტემის პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ამ დიდი ისტორიული ამოცანის შესრულებაში ღირსეული ადგილი დაიკავონ.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორს დიდ **სტალინს!** (ტაში).

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ა. გალავანოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო.

ამ სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონი სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური, კულტურული აღმავლობის ამოცანებსა და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

მე მინდა მოკლედ შევჩერდე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელების მიერ მიღწეულ წარმატებებზე და მისი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამხრეთ ოსეთი ყოფილი მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი, მივიწყებული და ღატაკი კუთხე იყო. უკულტურობა და სიღატაკე, წერა-კითხვის საერთო უცოდინრობა და სიბნელე იყო ოსი ხალხის ხვედრი. სამხრეთ ოსეთის ხალხი, ისევე როგორც საქართველოს და სხვა ნაციონალური განაპირა მხარეების ხალხები, განიცდიდნენ უმაგალითო ჩაგვრას და ორმაგ ექსპლოატაციას მეფის თვითმპყრობელობის, თავადების და მემამულეების მხრივ.

ჩამორჩენილი, მივიწყებული განაპირა კუთხიდან სამხრეთ ოსეთი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გადაიქცა აყვავებულ მხარედ.

ახალი სტალინური ხუთწლედი უზრუნველჰყოფს სამხრეთ ოსეთის კიდევ მეტ აღმავლობასა და აყვავებას.

ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქვაისის ტყვიათუთიის საბადო. ამჟამად გაიძლიერა მაღაროების, დიზელის სადგურის, გამდიდრებელი ფაბრიკის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დაწყებულია ომამდე ნაქონი სამუშაოები. პირველი ჰიდროელექტროსადგური უკვე წელს ჩადგება მწყობრში. დაიწყება წრომის მდინარის სატყეო აგარაკის სამრეწველო ათვისება და გაყვანილი იქნება 15 კილომეტრი საერთო საავტომობილო გზა. მომავალ წელს სტალინირში გაჩაღდება ხილის საკონსერვო ქარხნის მშენებლობა, რომელსაც ექნება კონსერვის სამქრო წელიწადში 2 მილიონი პირობითი ქილის სიმძლავრე. აშენდება ლუდის ქარხანა, რომლის სიმძლავრე 10.000 ჰექტოლიტრი იქნება. მიმდინარე წელს დამთავრდება აგურ-კრამიტისა და კირის 5 ქარხნის მშენებლობა. ხუთწლედში ქალაქ სტალინირი და ოლქის რაიონული ცენტრები ახალი, არქიტექტურულად გაფორმებული შენობებით დამშვენდება. სტალინირში სტალინის სახელობის ქუჩაზე მომავალ წელს დამთავრდება დიდი სამსართულიანი სახელმწიფო მშენებლობის ხელოვნების შესაქმნელად. ლენინის მოედანზე შენდება რაიცენტრული საცხოვრებელი სახლი. იქვე დაიდგმება ვ. ი. ლენინის მონუმენტური ძეგლი.

სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას 20 პროცენტით და შაქრის ჭარხლისას 14,3 პროცენტით. შეგხვდა რა სოფლის მეურნეობის საკითხს, ამხ. ჩარკვიანმა რეპ. მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღნიშნა:

„მიმდინარე ხუთწლედში მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჩვენში დაბალია. დაბალი მოსავლიანობა აიხსნება იმით, რომ თესვის დროს არ იცავენ აგროწესებს, არასაკმაოდ უვლიან ნათესებს და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენში არ არის თესლბრუნვები".

ეს საკითხით გვეხება ჩვენც, ჩვენი ოლქის სოფლის მეურნეობას. ხუთწლიანი გეგმის კანონში მოცემულია ამომწურავი და ზუსტი მითითებანი მოსავლიანობის გადიდების გზების შესახებ. მთელ ამ ღონისძიებათა დაცვა აუცილებლად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. ამჟამად თესლბრუნვაზე ჩვენს ოლქში გადასული კოლმეურნეობის — სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში. წელს თესლბრუნვაზე გადაყვანილი იქნება 12 კოლმეურნეობაში, ხოლო ხუთი წლის განმავლობაში ოლქის დანარჩენ კოლმეურნეობებშიც. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბაღებისა და ვენახების ფართობების მნიშვნელოვანი გადიდება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მორწყვას. გეგმით გათვალისწინებულია უკვე წელს კეხვის სარწყავი არხის მშენებლობის დამთავრება. ეს არხი სარწყავი წყლით უზრუნველყოფს სტალინირისა და ზნაურის რაიონის 4.000 ჰექტარ მიწას. მეცხოველეობის განვითარების დარგში ხუთწლედი ითვალისწინებს დიდ სამეურნეო პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებას, მისი პროდუქტიულობისა და საერთო სულადობის გადიდებას. ცხენის სულადობა გაიზრდება 44,4 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 17,3 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა — 41,2 პროცენტით, ღორისა — 45 პროცენტით. ხუთწლიანმა გეგმამ კოლმეურნეებს, სამოწამეობრივი ორგანოების მუშაკებს და ჩვენს აქტივს დაუყენა ამოცანა აღამაღლონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაადიდონ კვების პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის საერთო მოსავალი, გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამ სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისაკენ მიმართულია მთელი ჩვენი ძალები, რათა მივაღწიოთ სტალინური ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, ხელოვნების საკითხებს სერიოზული ადგილი უკავია ჩვენი ოლქის ხუთწლიან გეგმაში. გეგმით გათვალისწინებულია სამშობიარო სახლის, საშუალო სკოლისა და ზოოვეტტექნიკუმის შენობების აგება.

ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ სამშენებლო სამუშაოები მოითხოვს დიდძალ აგურს, კირს, კრამიტს, ხე-ტყეს. ეს გვისახავს ამოცანას გავადიდოთ ადგილობრივი პროდუქციის და საშენ მასალათა რაოდენობა და გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი.

ამხანაგო დეპუტატებო! ხუთწლიანი გეგმის კანონის პროექტში გათვალისწინებული არ არის ჩვენი ოლქისათვის უაღრესად საჭირო ზოგიერთი ღონისძიება. ამიტომ ვთხოვ უმაღლესი საბჭოს სესიას ხუთწლიანი გეგმის საბოლოო დამტკიცებისას მხედველობაში მიიღოს შემდეგი:

1. ქალაქ სტალინირის სამრეწველო საწარმოების წყლით სრული უზრუნველყოფისათვის საჭიროა ქალაქის არსებული წყალსადენის გაფართოება და რეკონსტრუქცია და მისი შეერთება თორთიზის წყაროებთან. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ეს ღონისძიება მოიწონა. მის განხორციელებას დასჭირდება 600.000 მანეთამდე კაპიტალური დაბანდებანი. ეთხოვ სესიას შეიტანოს გეგმაში სტალინირის წყალსადენის რეკონსტრუქცია, ამ სამუშაოს მომავალ წელს დამთავრების გათვალისწინებით.

2. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა და მისი სტამბები, რომლებიც მომსახურებას უწევენ საოლქო გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, მოთავსებულია სამუშაოდ სრულიად მოუწყობელ დარბაზში. გამომცემლობა ტექნიკური ბაზის შესაქმნელად ვთხოვთ ხუთწლიან გეგმაში შეიტანოთ სტამბისა და სამეურნეო მოსათავსებელი 400 ათასი მანეთის ღირებულების სახლის მშენებლობა.

აი ის მოთხოვნები, რომლებიც სესიის განსახილველად შემომაქვს. გთხოვთ მათ დაკმაყოფილებას.

ამხანაგო დეპუტატებო!

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელნი, აღჩრდილნი დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის ერთგული შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით, მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ღირსეულად შეასრულონ ახალი სტალინური ხუთწლედით მათ წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანები.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს!** (ტაში).

დეპუტატ გ. ა. ალავიძის სიტყვა

(გალის ოლქი, აფხაზეთის ასსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ხუთწლიან გეგმაში, მრეწველობის შემდგომ ძლიერ განვითარებასთან ერთად, ასახულია საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მთელი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი.

პარტია და მთავრობა მუდამ იჩენდნენ და იჩენენ მზრუნველობას ტექნიკური კულტურების განვითარების საქმისადმი. ჯერ კიდევ 1935 წელს დიდმა სტალინმა კომბაინერების სრულიად საკავშირო თათბირზე აღნიშნა:

„ჩვენ მოგვიხდება ტექნიკური კულტურების წარმოების უფრო და უფრო გადიდება, თუ ჩვენ გვსურს წინ წავწიოთ ჩვენი მსუბუქი მრეწველობა და კვების მრეწველობა".

დიდი სტალინის მითითებათა განხორციელების საფუძველზე ჩვენმა ქვეყანამ სამამულო ომამდე მიაღწია ტექნიკური კულტურების წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. მაგრამ სამამულო ომმა გამოიწვია ამ კულტურების არა მარტო შემდგომი ზრდა-განვითარების შეჩერება, არამედ ომით შექმნილმა სიძნელეებმა სერიოზული გავლენა იქონიეს მათს საერთო მდგომარეობასა და მოსავალზე.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ტექნიკური კულტურების დარგში მომუშავეებს გვისახავს უაღრესად დიდ ამოცანებს.

სესიის განსახილველად წარმოდგენილი ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგის — ჩაის კულტურის პლანტაციების მნიშვნელოვან ზრდას. ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი, რომელიც რევოლუციის წინადროინდელ პერიოდში არ აღემატებოდა 900 ჰექტარს, ამჟამად 51.532 ჰექტარს აღწევს. 1950 წლის დამლევისათვის, სტალინური ხუთწლედის განუხრელად შესრულების შედეგად, ჩაის პლანტაციების ფართობი აყვანილ იქნება 58.000 ჰექტარამდე. ამავე წლისათვის გათვალისწინებულია 70.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება. აქედან ძირითადი მწვანე ჩაის ფოთოლი 60.000 ტონა და 10 ათასი ტონა უხეში ჩაის ფოთოლი მწვანე აგურა ჩაის დასამზადებლად.

ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის ციტრუსების ფართობების ზრდა. ციტრუსები უნდა გაშენდეს 11 ათას ჰექტარზე, მათ შორის: ლიმონი 3.000 ჰექტარზე, ფორთოხალი 3.000 ჰექტარზე და მანდარინი 5.000 ჰექტარზე. ამრიგად, 1950 წლის დასასრულს ციტრუსოვანთა პლანტაციები 29.000 ჰექტარს მიაღწევენ. ამ დავალების შესასრულებლად საკავშირო მთავრობამ მიმდინარე წლის 15 თებერვალს დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, ამიერიდან ახალ ფართობებზე უნდა გაშენდეს მხოლოდამხოლოდ საუკეთესო ჯიშის ციტრუსოვანთა ხეები, პირველ რიგში ლიმონი და ფორთოხალი. დამატებით ეწყობა ციტრუსოვანთა ჯიშიანი ნერგების გამოსაყვანი 4 ახალი სახელმწიფო სანერგე: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობაში, კობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში და ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირში. ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გასაშენებლად ხუთწლედის მანძილზე გამოყვანილ იქნება 12 მილიონზე მეტი მაღალხარისხოვანი, სტანდარტული ნერგი. მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის, სელექციონერებისათვის, მეცდელკოლმეურნეთათვის, რომლებიც მიაღწევენ ლიმონისა და ყინვის გამძლე ხარისხიანი და მაღალმოსავლიანი ახალი ჯიშების გამოყვანას, აგრეთვე სპეციალისტებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, რომლებიც უზრუნველჰყოფენ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. დაწესებულია კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის ციტრუსების გასაშენებლად ნიადაგის მომზადებისა და ციტრუსოვანთა გაშენებისათვის მარცვლეულის მიყიდვა. შექმნილია ყოველგვარი პირობა იმისათვის, რომ ხუთწლედში დასახული ციტრუსების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდეს.

ციტრუსების დარგში მომუშავე კოლმეურნეობების, კოლმეურნეების, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი მუშაკების წინაშე ყველა სამუშაო შრომით და ხარისხიანად შეასრულონ. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს მისნის — სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მითითება: „სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ ფორთოხლისა და ლიმონის საუკეთესო ჯიშების ფართობთა, შემდგომი გადიდებისათვის, მათი მოსავლიანობის გადიდებისათვის. უახლოეს 2-3 წელში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ფორთოხლისა და ლიმონის ხეებმა შემდგომი ფართო განვითარება ჰპოვონ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომ ისინი ყოველ ეზოში ხარობდნენ. ეს არა მარტო მილიონობით ახალი ციტრუსოვანთა ნაყოფს მისცემს ჩვენს ქვეყანას, არამედ კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების სერიოზული დამატებითი წყარო იქნება. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. საქართველოს უკვე შექმნილია სოფლის მეურნეობის მუშაკთა კადრები, რომლებმაც არა მარტო კარგად აითვისეს სუბტროპიკული კულტურების გაშენება, არამედ მტკიცედ შეიყვარეს ეს საქმე".

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ტუნგის კულტურის შემდგომ განვითარებას. 1950 წლის დამლევისათვის მისი ფართობი აყვანილ იქნება 16.700 ჰექტარამდე, ე. ი. ამ ხუთწლედის მანძილზე აღდგენილ და ახლადდარგულ იქნება 4.400 ჰექტარი.

მიმდინარე სტალინურ ხუთწლედში კიდევ უფრო ფართო გასაქანს ჰპოვებს სწრაფმზარდი და მრავალმხრივ სასარგებლო ხე — ევკალიპტი.

ხუთწლიანი გეგმით უნდა დაირგოს 32.700.000 ძირი ევკალიპტის ხე, ე. ი. ამ კულტურის ნარგაობათა რაოდენობა, 1946 წელთან შედარებით, გადიდდება თითქმის ხუთჯერ. 1950 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში გვექნება 40 მილიონი ძირი ევკალიპტის ხე.

ევკალიპტს დიდი შეფასება მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ჩარკვიანმა, რომელმაც 1946 წლის 15 აპრილს თბილისის პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღნიშნა:

„უკვე 20 წლის ასაკისათვის იგი (ევკალიპტი) საექსპლოატაციო სიმწიფეს აღწევს. საკმარისია გვქონდეს 40-50 მილიონი ევკალიპტის ხე და მივაწყოთ მათი წესიერი ექსპლოატაცია და განახლება, რომ ყოველწლიურად დავამზადოთ 1,5—2 მილიონი კუბმეტრი სამშენებლო ხე-ტყე და შეშა, ნარგავებისათვის ზიანის მიუყენებლად".

დაფნის კულტურას, რომელსაც საკონსერვო მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ხუთწლიან გეგმაში. მისი ფართობი, რომელიც 1946 წლის 1-ლ იანვრისათვის შეადგენდა 2.032 ჰექტარს, ხუთწლედის დასასრულს აყვანილ იქნება 3530 ჰექტარამდე, ე. ი. მიმდინარე ხუთწლედში დაფნა ახლად გაშენდება 1.500 ჰექტარზე.

დიდი ხანია, რაც საქართველოში ფეხი მოიკიდა მრავალმხრივ სასარგებლო მცენარემ — ბამბუკმა. ხუთწლედში გათვალისწინებულია 3.400 ჰექტარი ბამბუკის ახალი პლანტაციების გაშენება. 1950 წლის ბოლოს ჩვენ გვექნება 5.000 ჰექტარზე მეტი ბამბუკის პლანტაცია. ბამბუკის კულტურა ფართოდ უნდა დავნერგოთ საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ რაიონებში.

ტექნიკურ კულტურათა შორის, საქართველოში საპატიო ადგილი უჭირავს თამბაქოს. მართალია, ახალი ხუთწლიანი გეგმა არ ითვალისწინებს თამბაქოს პლანტაციების დიდ ზრდას, მაგრამ სამაგიეროდ მიზნად ისახავს ამ კულტურის მოსავლიანობის გადიდებას მთელ რიგ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით. თამბაქოს საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილი იქნება: ტრაპიზონის ჯიშისა—10 ცენტნერამდე, სამსუნის ჯიშისა — 6,5 ცენტნერამდე, ხოლო მთლიანი მოსავალი 136.000 ცენტნერს მიაღწევს.

ახალი ხუთწლედის პირველ წელს საქართველოში კვლავ აღდგენილია ბამბის კულტურა. მიმდინარე წელს რესპუბლიკაში დაითესა 1500 ჰექტარი ბამბა. 1950 წლის დამლევისათვის გათვალისწინებულია მისი ფართობის 2.000 ჰექტარამდე აყვანა. საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებულ იქნება ცხრა ცენტნერი მოსავალი.

ხუთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მებრეშუმეობისა და მეთუთეობის განვითარებას. 1950 წელს გათვალისწინებულია 80.000 კოლოფი აბრეშუმის თესლის დარიგება, ნაცვლად 1946 წელს დარიგებული 61.354 კოლოფისა. საშუალო გამოსავალი ერთ კოლოფზე, ნაცვლად 40 კილოგრამისა 1945 წელს, ნავარაუდევია 43 კილოგრამის რაოდენობით. პარკის საერთო მოსავალი სტალინური ხუთწლედის უკანასკნელ წელს მიაღწევს 3440 ტონას, ნაცვლად 1945 წელს მიღებული 2490 ტონისა. ხუთწლედის პირველ წელს აბრეშუმის პარკის მიუვანის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ნაცვლად 2600 ტონისა, დამზადებულია 2678 ტონა პარკი.

აბრეშუმის ჭიის საკვებით უზრუნ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ გ. ა. ალავიძის სიტყვა

(დასასრული)

...ველსაყოფად გათვალისწინებულია გაშენდეს 1000 ჰექტარი თუთის ახალი პლანტაცია. გარდა ამისა ხუთწლედის მანძილზე დაირგვება 7.700.000 ძირი მაღალტანიანი ცალკეული ხე. 1950 წლის დამლევისათვის თუთის ხეების რაოდენობა 21.000.000 ძირს მიაღწევს.

ძვირფასი ტექნიკური კულტურების სწრაფი აღმავლობა წარმოუდგენელია მექანიზაციის გარეშე. ამ საქმეში, სხვა ქარხნებთან ერთად, დახმარება უნდა გაგვიწიოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანამ. საჭიროა მან აითვისოს ტექნიკური კულტურების დასამუშავებლად საჭირო იარაღ-მანქანების სერიული წარმოება და გააუმჯობესოს წარმოებული წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ხარისხი, ურომლისოდაც მეტად ძნელდება მთელი რიგი ოპერაციების ჩატარება სუბტროპიკულ მრავალწლიან ნარგავებში.

ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი როლი ენიჭება სასუქებს. მიმდინარე წელს მხოლოდ ტექნიკური კულტურების საჭიროებისათვის რესპუბლიკაში შემოზიდულია 60.000 ტონაზე მეტი მინერალური სასუქი. მომავალშიც ჩვენი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ყოველწლიურად მიიღებენ დიდი რაოდენობის მინერალურ სასუქებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყურადღება მოვადუნოთ ადგილობრივი სასუქების გამოყენების საქმისადმი. საჭიროა მინერალური სასუქების გამოყენებასთან ერთად მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი ორგანული სასუქებიც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტორფ-ფოსფატის და ტორფ-ფეკალის გამოყენების საქმეს, ვინაიდან ამ სასუქებს დიდი მნიშვნელობა აქვს სუბტროპიკული რაიონების ნიადაგების ნოყიერების ზრდისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

ომისშემდგომმა პირველმა გაზაფხულმა დაგვანახვა ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის უდიდესი შრომითი აღმავლობა. უფრო მძლავრად ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება 1946 წლის—ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ტექნიკური კულტურების გაშენება და თესვა ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს რაიონში წელს ჩატარებულია დროულად და გაცილებით უკეთესად, ვიდრე გასულ წლებში. ახლა დგას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მეტად პასუხსაგები პერიოდი—გაჩაღებულია მოსავლის აღება, ნათესებისა და ნარგავების დამუშავება. ამ სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება უზრუნველყოფს ჩაის, ციტრუსების, ტუნგის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების მოსავლის დამატებით ასეული ცენტნერის მიღებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნათესებისა და ნარგავების მოვლა და მოსავლის აღება უმრავლეს რაიონში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ჯერ კიდევ ამ მხრივ ჩამორჩენილია ცალკეული რაიონები. სიღნაღის რაიონში არის კოლმეურნეობანი, რომელთაც თამბაქოს პირველი თოხნაც კი არ ჩაუტარებიათ. უდავოა, რომ ასეთ პლანტაციებში ძალზე მცირე მოსავალი იქნება აღებული. ამავე რაიონში იმის შედეგად, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში თამბაქოს აღება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ადგილი აქვს თამბაქოს ფოთლის გადამწიფებას და მის ფაწვას. მიმდინარე წელს თელავის რაიონის კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად უვლიან მეტად მნიშვნელოვან ეთერზეთოვან კულტურებს — გერანს და ყაზანლიყის ვარდს. თუ ასე გაგრძელდა, რაიონი ვერ უზრუნველჰყოფს ამ კულტურათა მოსავლიანობის გეგმის შესრულებას.

სტალინური ხუთწლედის პირველ წელს ციტრუსოვანი პლანტაციების მოვლის ღონისძიებათა გატარების საქმეში უაღრესად დიდი გარდატეხა მოხდა. უმრავლეს რაიონში ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებანი დროულად და მაღალხარისხოვნად ტარდება. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი კოლმეურნეობანი, რომელთაც ვერ შესძლეს სათანადოდ წარემართათ მუშაობა და ძალზე ჩამორჩებიან ციტრუსების მოვლა-პატრონობის საქმეში. ასეთი კოლმეურნეობანი არიან ხოროწყუს, ლანჩხუთის და ხობის რაიონებში.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და ლიმონანტრესტის საბჭოთა მეურნეობები ჩაის და ციტრუსოვანი პლანტაციების მოვლის საქმეში მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვნენ კოლმეურნეობათათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასე როდია. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებს აქვთ არსებითი ჩამორჩენა ჩაისა და ციტრუსების მოვლა-პატრონობის საქმეში.

მიმდინარე წელს ციტრუსოვანთა გაშენების გეგმა, კულტურების მიხედვით, დროულად, ხარისხიანად და გადაჭარბებით შესრულდა. მაგრამ საფრთხეშია მომავალი წლის გეგმის შესრულების საქმე, ვინაიდან მთელ რიგ სუბტროპიკულ რაიონებს ამისათვის საჭირო სამზადისი სამუშაოები არ გაუჩაღებიათ. საკავშირო მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია ციტრუსებისათვის ნიადაგის მომზადება დარგვამდე ერთი-ორი წლით ადრე. ამ დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს და სუბტროპიკულ რაიონებს ევალებოდათ ციტრუსოვანთა დარგვის 1947 წლის გეგმის უზრუნველსაყოფად წარემართათ მუშაობა იმ ვარაუდით, რომ ნიადაგის მომზადება დაემთავრებინათ მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე. ამჟამად არსებული მდგომარეობა საეჭვოდ ხდის აღნიშნული ვადისათვის ამ სამუშაოს დამთავრებას. საჭიროა სასწრაფო ზომები მივიღოთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და მზრუნველობით ეკიდებიან ჩვენში ძვირფასი ტექნიკური კულტურების დანერგვას და შემდგომ განვითარებას. ამას ნათლად მოწმობს, კერძოდ, ის ფაქტიც, რომ დიდი სტალინის მითითებათა საფუძველზე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიმდინარე წლის 15 თებერვალს გამოიტანა სპეციალური დადგენილება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების შესახებ". ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის სტალინური მზრუნველობის მკაფიო დადასტურებაა ისიც, რომ შექმნილია ტექნიკური კულტურების სამინისტრო. ახლა ამოცანა ის არის, რომ წლითი წლობით გავადიდოთ ტექნიკური და სპეციალური კულტურების ფართობი და, რაც ძირითადი და მთავარია, — მივაღწიოთ ამ კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

1946 წელი, ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წელი, უნდა გადავაქციოთ ციტრუსების, ჩაის, ტუნგის, თამბაქოს, გერანის, ზამბის უხვი მოსავლის წლად. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მისი განხორციელება სავსებით შესაძლებელია და კიდეც უნდა განვახორციელოთ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა მიმდინარე წლის 15 აპრილს თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე დაგვისახა კონკრეტული ამოცანები სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ, სოფლის მეურნეობის მუშაკები, შევძლებთ განუხრელად განვახორციელოთ მთავრობის, პარტიისა და პირადად დიდი სტალინის ყველა დავალება.

ამხანაგო დეპუტატებო!

დიდია ჩვენი მიღწევები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ზრდისა და გაძლიერების, კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების, ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაფართოებისა და აღმავლობის საქმეში. ამ მიღწევებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმას, ვინც ჩვენი ყველა გამარჯვების ორგანიზატორია, ვისი სახელიც არის მშრომელი კაცობრიობის კაშკაშა მნათობი, ვინც გენიალური გამჭრიახობით და ცოდნით ხელმძღვანელობს ჩვენს დიად კავშირს, ვინც გვამხნევებს და ვინც მტკიცე ნაბიჯით მიგვყავართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ — დიდ **სტალინს. (ტაში).**

დიდი სტალინის თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკა მუდამ ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევდა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები უზრუნველჰყოფენ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას და მიაღწევენ ახალ გამარჯვებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

მრავალ წელს იცოცხლოს და იდღეგრძელოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორმა, დიდმა ბელადმა მშობლიურმა **სტალინმა. (ტაში).**

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის ამხ. ვ. ა. პაატაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თქვენს განსახილველად შემოიტანა, ითვალისწინებს 1946-1950 წლებში, სამრეწველო წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად, რესპუბლიკაში დიდი მოცულობის კაპიტალურ სამუშაოთა შესრულებას. კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ჩვენს რესპუბლიკაში 1946-1950 წლებისათვის გათვალისწინებულია 4.120 მილიონი მანეთის რაოდენობით. მიმდინარე ხუთწლედში უნდა აშენდეს და ამოქმედდეს ბევრი ახალი საწარმო და მნიშვნელოვნად გადიდდეს საბინაო ფონდი. საკმარისია ითქვას, რომ ხუთი წლის მანძილზე დასახულია მარტო საბინაო მშენებლობაში დაბანდდეს 500 მილიონი მანეთი და უზრუნველყოფილ იქნას ჩვენს ქალაქებსა და დაბებში 732 ათასი კვადრატული მეტრი საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემა, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 35 ათასი კვადრატული მეტრისა.

გასაგებია, რომ ასეთი მასშტაბის მშენებლობისათვის საჭიროა დიდძალი საშენი მასალები. განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება ცემენტზე, კირზე, კრამიტზე, აგურსა და კედლის სხვა მასალებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საშენ მასალათა მრეწველობა როგორც ომის წინ, ისე ომის პერიოდში, ვერ ასრულებდა თავის სამრეწველო გეგმებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საშენ მასალათა ყოფილმა მთავარმა სამმართველომ 1945 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ 67,7 პროცენტით შეასრულა. აგური გამოშვებულ იქნა 12.260 ათასი ცალი ანუ გეგმის 87,6 პროცენტი, კრამიტი 768 ათასი ცალი ანუ გეგმის 38,4 პროცენტი, კირი 15.500 ტონა ანუ გეგმის 83 პროცენტი. სამმართველომ მიმდინარე წლის ექვსი თვის საწარმოო გეგმებიც ვერ შეასრულა. აგურის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 63,9 პროცენტით, ხოლო კრამიტისა—44,3 პროცენტით.

გასაგებია, რომ ასე მცირე რაოდენობით საშენ მასალათა გამოშვებით ჩვენ ვერ შევძლებთ იმ დიდი მოცულობის კაპიტალურ სამუშაოთა შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია ახალი ხუთწლიანი გეგმით. ამიტომ გეგმა ითვალისწინებს საშენ მასალათა მრეწველობის მნიშვნელოვანი განვითარების აუცილებლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 30 ივლისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო გარდაიქმნა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროდ. ეს ღონისძიება საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების წინაშე სახავს მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების შესაძლებლობას. საშენ მასალათა მრეწველობა მოწინავე ინდუსტრიულ მრეწველობად უნდა გადავაქციოთ.

ხუთწლიანი გეგმა ჩვენი სამინისტროს ხაზით ითვალისწინებს საშენი მასალების გამოშვების რამდენჯერმე გადიდებას. ამ სამინისტროს საწარმოების საერთო პროდუქციის მოცულობა 1950 წელს განსაზღვრულია 6.857 ათასი მანეთის რაოდენობით (1926-1927 წლის ფასებით). ეს შეადგენს 1940 წელს ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის 270 პროცენტს. 1950 წელს სამინისტროს საწარმოებმა უნდა გამოუშვან 52 მილიონი ცალი აგური, ე. ი. ომამდელი დონის 376,8 პროცენტი, 7 მილიონი ცალი კრამიტი, ე. ი. ომამდელი დონის 350 პროცენტი, 58,0 ათასი ტონა კირი, ე. ი. ომამდელი დონის 170 პროცენტი.

დიდდება ბუნებრივი საშენი მასალების — ტუფებისა და სხვა სახის ქვის გამოყენება. ხუთწლედის უკანასკნელ წელს სამინისტროს საწარმოებმა უნდა მისცენ მშენებლობას 90,0 ათასი კუბური მეტრი საშენი ქვა—ომამდელი დონის 375,0 პროცენტი, მათ შორის 50 ათასი კუბური მეტრი საუცხოო საკედლე მასალა — ტუფი.

აგურ-კრამიტის წარმოების დარგში განზრახული გვაქვს მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული ქარხნების სიმძლავრე, მოვაწყოთ ამ ქარხნებში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ აგურის, განსაკუთრებით კი კრამიტის ხარისხი. ამავე დროს გადამწყვეტი ზომები უნდა მივიღოთ აგურისა და კრამიტის დანაკარგების მაქსიმალური შემცირებისათვის. მიმდინარე ხუთწლედში უნდა ავაშენოთ და ავამოქმედოთ ორი მექანიზებული ქარხანა 28 მილიონი ცალი აგურის წლიური სიმძლავრისა.

ჩვენ ვისახავთ ამოცანას მოვაწყოთ ღრუ-აგურის გამოშვება, რომლის წარმოება ჩვეულებრივ აგურთან შედარებით იძლევა ნედლეულისა და საწვავი მასალის ეკონომიას, ამცირებს შრომისა და გამოწვის ვადებს, ამცირებს საწარმოო ციკლს და იძლევა შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალებას.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მშიდა მასალების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას. გათვალისწინებულია მოწამეთის, სურამისა და ცხაკაიას კირის ქარხნების გაფართოება. მათი სიმძლავრე 1950 წლისათვის თითქმის ერთიორად უნდა გადიდდეს; აქვე უნდა მოეწყოს დაფქული კირის წარმოება. ამ მიზნით აღნიშნულ ქარხნებში დაიდგმება სპეციალური წისქვილები.

ახალციხის რაიონში წყალთბილის ალებასტრის ქვის ბუდობის ბაზაზე შენდება და 1947 წელს ამოქმედდება თაბაშირის ქარხანა ათი ათასი ტონა თაბაშირის წლიური სიმძლავრისა. ქარხანასთან მოეწყობა თაბაშირისაგან სამშენებლო დეტალების წარმოება.

ქალაქ თბილისის რაიონში სურამის კირის და თეძამის ტუფის ბაზაზე ვითვალისწინებთ კიროვან-პუცოლანის ცემენტის ქარხნის მშენებლობას.

გარდა ამისა, გეგმით გათვალისწინებულია პორტლანდ-ცემენტის ახალი ქარხნის მშენებლობა. ამ ქარხნის ამოქმედებას ვითვალისწინებთ 1948 წელს.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს აღნიშნა, რომ საქართველოში დიდია ბუნებრივი საშენი მასალების — სხვადასხვა ტუფებისა და ქვის სხვა სახეთა გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ეკლარის საუცხოო მოსაპირკეთებელი ქვის კარიერები ცუდად მუშაობენ და საერთოდ ეს ქვა საკმარისად არ არის გამოყენებული.

ამხანაგ ჩარკვიანის ამ მითითების შესაბამისად მიმდინარე ხუთწლედში ჩვენი სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია ბუნებრივი საშენი ქვის წარმოების მნიშვნელოვნად გაფართოება.

მოეწყობა თეძამის ტუფის წარმოება. ეს ტუფი გამოყენებული იქნება მშენებლობაში როგორც აგურის შემცვლელი კედლის მასალა და ცემენტის წარმოებაში როგორც ჰიდრავლიკური დანამატი. ტუფის დამუშავება მექანიზებული წესით იწარმოებს. 1950 წელს ჩვენ უნდა მივცეთ მშენებლობას 50 ათასი კუბმეტრი თეძამის ცალობითი ქვა და ცემენტის მრეწველობას 30 ათასი ტონა ტუფის წარმოების ნარჩენები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება ეკლარის ცნობილი ქვის წარმოება. ამ მიზნით ვითვალისწინებთ გავაგრძელოთ არსებული რკინიგზის შტო რიონი-კვახჭირი ამ საბადომდე და მოვაწყოთ მისი დამუშავება მექანიზებული წესით. 1950 წელს ჩვენ უნდა მივცეთ მშენებლობას სულ ცოტა 10 ათასი კუბური მეტრი ეკლარის ქვა.

გაფართოვდება და მექანიზებული იქნება კურსების გრანიტის ქვის წარმოება. 1950 წელს კურსების გრანიტის კარიერმა უნდა მისცეს საგზაო მშენებლობას გრანიტის ძელაკები 50 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით.

ხუთწლიანი გეგმით სამინისტროსათვის დაგეგმილია კაპიტალური დაბანდებანი 14 მილიონი მანეთის რაოდენობით და დამატებით 10 მილიონი მანეთი ცემენტის ქარხნის მშენებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები საკმარისი არ არის ხუთწლიანი გეგმით დასახულ კაპიტალურ სამუშაოთა შესასრულებლად. საჭიროა ამ თანხების გადიდება.

საშენ მასალათა არსებული საწარმოების გაფართოებასა და ახალი საწარმოების მშენებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ბუნებრივი საშენი მასალებისა და ნედლეულის ახალი სახეების ძიების მიზნით, მიმდინარე ხუთწლედში დასახულია ჩატარებულ იქნას გეოლოგიური სამუშაოები 2.500 ათასი მანეთის და ტექნოლოგიური კვლევითი სამუშაოები 1.000 ათასი მანეთის მოცულობით.

ამასთან დაკავშირებით ისმება სამინისტროსთან საშენ მასალათა სპეციალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნის საკითხი, სხვა რესპუბლიკების მაგალითის მიხედვით, მით უმეტეს, რომ ასეთი ინსტიტუტი არსებობდა საქართველოში 1934-1935 წლებში.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ ღონისძიებათა დროულად შესრულებას, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით. ჩვენ მივიღებთ ყველა ზომებს, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმა და უზრუნველვყოთ ახალი მშენებლობა მაღალხარისხოვანი საშენი მასალებით. **(ტაში).**

მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. დ. ბუჯიაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეეგებნენ გორის რაიონის მშრომელები მეოთხე სტალინურ ხუთწლედს. ამ დიადი გეგმის განხორციელებისათვის თავდადებულ ბრძოლაში ისინი ხედავენ ახალ გამარჯვებათა საწინდარს მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში.

რა მაჩვენებლებით შეხვდნენ გორის რაიონის მშრომელები ახალ ხუთწლედს?

1940 წელს მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავალი გორის რაიონში ერთ ჰექტარზე შეადგენდა 7,9 ცენტნერს, 1944 წელს—8,6 ცენტნერს, ხოლო 1945 წელს—8,8 ცენტნერს. მართალია, მარცვლეულის ასეთი მოსავლიანობა რამდენადმე დაბალია რესპუბლიკაში მიღებულ საშუალო მოსავალზე და, მაშასადამე, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოსავალი, ერთი მხრივ, აღემატება ომამდელი დროის მოსავალს, ხოლო, მეორე მხრივ, ცოტათი მაინც მეტია რაიონისათვის გეგმით გათვალისწინებულ საშუალო მოსავალზე.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში განსაკუთრებით 1944 წლიდან, როცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ ამ მიმართულებით დასახეს სპეციალური ღონისძიებანი. შაქრის ჭარხლის მოსავალი 1944 წელს ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიღებული იყო 175 ცენტნერი, ანუ სახელმწიფო საკონტრაქტაციო გეგმის 126 პროცენტი, 1945 წელს—221 ცენტნერი, ანუ გეგმის 141 პროცენტი.

შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში დიდი როლი შეასრულა სტახანოვურმა მოძრაობამ. მეჭარხლე სტახანოველთა რიცხვი (რომელთაც ჰექტარზე მოჰყავთ 300-ზე მეტი ცენტნერი) სწრაფად იზრდება. 1944 წელს გვყავდა 324, 1945 წელს —745, ხოლო ამჟამად გვყავს 1450 სტახანოველი კოლმეურნე.

მინდვრის ძირითადი კულტურების მოსავლიანობის გადიდების დარგში მოპოვებული წარმატებანი იმის შედეგია, რომ საგრძნობლად გაიზარდა მზრალად ნახნავის და ანეულის ხვედრი, გადიდდა სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული მიწების გამოყენება საშემოდგომო თესვისათვის ნაწვერალზე თესვის სათანადოდ შემცირებით. კოლმეურნეობებში გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და განმტკიცდა დისციპლინა.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ჯერ კიდევ დიდია მოსავლიანობის ზრდის, კერძოდ თავთავიანი კულტურების ხაზით გამოუყენებელი რეზერვები.

მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ასეთ გამოუყენებელ რეზერვს წარმოადგენს თესლბრუნვის უქონლობა ჩვენს კოლმეურნეობებში.

მიმდინარე წელს, მთავრობის დადგენილების თანახმად, თესლბრუნვა აღდგენილ უნდა იქნას 54 კოლმეურნეობაში. ეს მუშაობა მიმდინარეობს და უკვე დამთავრებულია 34 კოლმეურნეობაში. დანარჩენში 15 სექტემბრამდე დამთავრდება.

გორის რაიონში მეხილეობასა და მევენახეობას დიდი ადგილი უკავია. ხეხილის ბაღების ფართობი შეადგენს 8.400 ჰექტარს, მათ შორის განსაზოგადოებულია 3.628 ჰექტარი, ვენახების ფართობი შეადგენს 2.300 ჰექტარს, მათ შორის განსაზოგადოებულია 607 ჰექტარი.

მართალია, როგორც ხილის, აგრეთვე ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმები სრულდებოდა ომიანობის ყველა წლებში, შესრულდება მიმდინარე წელსაც. მაგრამ ხეხილის მოსავალი საერთოდ მაინც დაბალია. ეს, გარდა იმისა, რომ აიხსნება ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებით, გამოწვეულია, ერთი მხრივ, იმით, რომ ადგილობრივი სასუქები თითქმის მთლიანად ხმარდება ერთწლიან კულტურებს (ბოსტნეულს, შაქრის ჭარხალს) და მრავალწლიანი ნარგავებისათვის მცირე რაოდენობით ან სულ არ რჩება; მეორე მხრივ, არ გვაქვს ხეხილის მავნებლების, კერძოდ ჩრჩილის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი საშუალება, როგორიცაა ნიკოტინი და ანაბაზინ-სულფატი.

ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, რათა ხუთწლიან გეგმაში გაითვალისწინოს მინერალური სასუქების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩვენი რაიონის მომარაგება.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის სულადობის გადიდების საქმეში.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, 1940 წელთან შედარებით, გაიზარდა 5.809 სულით (იყო 14.033, არის 19.842); ცხვრისა და თხის სულადობა—12.984 სულით (იყო 5.361, არის 18.345); ღორის სულადობა—820 სულით (იყო 484, არის 1.304); ცხენის სულადობა 66 სულით (იყო 289, არის 351).

ჩვენ დაგვჭირდება დიდი მუშაობა პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და ჯიშიანი პირუტყვის გამრავლების უზრუნველსაყოფად.

ნება მიბოძეთ შევჩერდე გორის საქალაქო მეურნეობის, მისი კეთილმოწყობის საკითხებზე.

ქალაქ გორის კეთილმოწყობისათვის ყველა ზრუნავს. ყველა საბჭოთა მოქალაქეს ამოძრავებს გულწრფელი სურვილი—ქალაქი გორი რაც შეიძლება მალე გახდეს ისე კეთილმოწყობილი, როგორც შეეფერება იმ ქალაქს, სადაც დაიბადა, ბავშვობა და ყრმობა გაატარა კაცობრიობის უსაყვარლესმა ადამიანმა—დიდმა სტალინმა. ქალაქ გორის რეკონსტრუქცია, როგორც ცნობილია, დაიწყო 1934 წელს დიდი სტალინის თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით. იმ პერიოდში აშენდა პედაგოგიური ინსტიტუტი, სასტუმრო, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, ბანკის, შემნახველი სალაროს შენობები, კინოთეატრი, სკოლები, ლიახვის ხიდი, 500 კაცის ტევადობის სახელმწიფო თეატრი.

გორის სარეკონსტრუქციო სამუშაოები შეჩერდა ომის გამო. ახლა, ომის დამთავრების შემდეგ, კვლავ განახლდა ქალაქის კეთილმოწყობა.

1946-1947 წლებში ქალაქის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია 11 მილიონი მანეთი, აქედან 1946 წელს — 6 მილიონი. გეგმა ითვალისწინებს არსებული წყალსადენის რეკონსტრუქციას, გაფართოებას და ახალი რეზერვუარების მშენებლობას; კანალიზაციის ქსელის გაფართოებას და ახალი კოლექტორის მშენებლობას; 40 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩების მოკირწყვლას და 12 ათასი კვადრატული მეტრის მოასფალტებას; ქუჩების გამწვანებას 10 ათასი ძირი ხის დარგვით; კომუნალური საცხოვრებელი სახლის და სასტუმროს კაპიტალურად შეკეთებას; 150 საწოლიანი ახალი საავადმყოფოს მშენებლობას, რომელიც 1948 წელს უნდა გაიხსნას; ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობას და ხუთ სასოფლო საბჭოში ტელეფონის გაყვანას; საკონსერვო ქარხნის საწარმოო კორპუსების რეკონსტრუქციას; საცხოვრებელი სახლების შეკეთებას, კლუბის, საბავშვო ბაღისა და 1.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას; გარდა ამისა, ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისთვის სპეციალური წყალსადენის გაყვანას; გორის რკინიგზის სადგურის კაპიტალურ შეკეთებას, სადგურის ტერიტორიის გამწვანება-კეთილმოწყობას.

გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს სტალინის სახლთან მუზეუმისათვის ახალი შენობის აგებას.

ხუთწლიანი გეგმით ქალაქ გორში აიგება საფეიქრო კომბინატი, რომლის დაპროექტება დაიწყება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო მშენებლობა 1947 წელს. მშენებლობისათვის უკვე გამოყოფილია 40 ჰექტარი მიწა მტკვრისა და ლიახვის შესართავთან.

ქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ამ ღონისძიებების გატარება, ისეთი მძლავრი სამრეწველო კერის შექმნა, როგორიც იქნება საფეიქრო კომბინატი, საგრძნობლად შეუცვლის სახეს ქალაქ გორს და მას საქართველოს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ, ლამაზ, კულტურულ, სანიმუშო ქალაქად გადააქცევს.

ამ ღონისძიებების გატარებისათვის უკვე იბრძვიან ჩვენი მშრომელები, იბრძვიან იმ ურყევი რწმენით, რომ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით, მათი ხელმძღვანელობით წარმატებით შესრულდება ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას დავალება ქალაქ გორის კეთილმოწყობის შესახებ.

საბჭოთა ხალხი იმედიანად შეჰყურებს თავის მომავალს, თავის ხვალინდელ დღეს. ეს ბედნიერება შექმნილია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

და მთელი საბჭოთა ხალხი გულში ატარებს ღრმა სიყვარულს, პატივისცემას ბრძენი ბელადისადმი, ხოტბას ასხამს და მადლობას უძღვნის თავის მშობლიურ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

სტალინმა შეუქმნა საბჭოთა ხალხს დიადი გამარჯვებანი წარსულში!

სტალინმა შეუქმნა საბჭოთა ხალხს თვალწარმტაცი, ბრწყინვალე იმედით აღსავსე აწმყო და მომავალი, შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

გაუმარჯოს დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას!**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში).**

პარიზის საზავო კონფერენციაზე

12 აგვისტოს დილის პლენარული სხდომა

პარიზი, 12 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). პროცედურის დადგენილი წესების შესაბამისად დღევანდელ დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ბირნსი (ამერიკის შეერთებული შტატები).

...გრძელდებოდა დისკუსია კონფერენციაზე იმ ქვეყნების მოწვევის შესახებ, რომლებიც კონფერენციის წევრები არ არიან.

კონფერენციაზე ალბანეთის, კუბის, მექსიკისა და ეგვიპტის მოწვევა

ამ განხილვის მსვლელობაში საბერძნეთის დელეგაცია, რომელიც ორჯერ გამოვიდა ალბანეთის მოწვევის წინააღმდეგ და კონფერენციის ტრიბუნიდან არა ერთი ცილისწამებლური ბრალი დასდო ალბანელ ხალხს, სავსებით იზოლირებული აღმოჩნდა. არავის სიტყვა არ დაუჭერავს მისი პოზიციის დასაცავად...

...მექსიკისა და ეგვიპტის მოწვევის შესახებ, რათა მათ საშუალება მიეცეთ თავიანთი შეხედულებანი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის საკითხზე ჩამოაყალიბონ როგორც პლენარულ სხდომებზე, ისე სათანადო კომისიებში. აგრეთვე ერთხმად გადაწყდა, რომ კონფერენციის მუშაობაში ამ სახელმწიფოთა დელეგაციების მონაწილეობის წესს განსაზღვრავს სამდივნო.

მიღებულ იქნა აგრეთვე ბრიტანეთის დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სახელმწიფოთა მოწვევის წესის საკითხის გადაწყვეტისას სამდივნოში უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, ეს საკითხი უნდა გადაეცეს გენერალურ კომისიას. ამის წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, უკრაინის, ბელორუსიის, იუგოსლავიისა და პოლონეთის დელეგაციებმა.

სამდივნოს არჩევნები

...შემადგენლობაში ავსტრალიის წარმომადგენლის ნაცვლად არჩეულ იქნას ეთიოპიის დელეგატი. მან ის იმით დაასაბუთა, რომ ავსტრალიის დელეგაციის წარმომადგენლებს, წინასწარი ცნობებით, ახხელებენ ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარედ და მეორის ვიცე-თავმჯდომარედ. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ, როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, ავსტრალიის დელეგაცია ცალმხრივად და მშფოთვარედ მონაწილეობს კონფერენციის მუშაობაში, რომ სამდივნოს შემადგენლობაში მიზანშეწონილია იყვნენ უფრო მშვიდი და ობიექტური წარმომადგენლები.

ეთიოპიის დელეგატმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა დელეგაციას მისი წინადადებისათვის, მაგრამ თავისი კანდიდატურა მოხსნა, მიზეზად დაასახელა ეთიოპიის დელეგაციის მცირერიცხოვნობა.

რამდენადაც ნორვეგიისა და ეთიოპიის წარმომადგენლებმა მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები, თავმჯდომარემ მიღებულად გამოაცხადა ალექსანდერის მიერ შეტანილი სია. საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ მას ხმა არ მიუცია ავსტრალიის წარმომადგენლისათვის.

პლენარული სხდომების დღის წესრიგის მომზადების შესახებ

...ამ წინადადებამ მაშინვე გამოიწვია წინააღმდეგობა ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მხრივ, რომლებიც ცდილობდნენ, რომ კონფერენციის თავმჯდომარეები, გარდა მორიგი თავმჯდომარისა, ჩამოშორებულ იქნან პლენარული სხდომების დღის წესრიგის შემუშავებაში მონაწილეობას. ამ საკითხის შემდგომი განხილვა გადატანილია საღამოს სხდომაზე.

12 აგვისტოს საღამოს პლენარული სხდომა

...მტკიცებლად წარედგინება კონფერენციის პლენუმებს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ ბირნსმა განაცხადა, რომ სიტყვას აძლევს იუგოსლავიის დელეგატს იტალიის წარმომადგენლის და გასპერის მიერ კონფერენციაზე გაკეთებული განცხადების გამო. მაგრამ თავმჯდომარე აქვე ცდილობდა გაეტარებინა აზრი რომ, გარდა იუგოსლავიის წარმომადგენლისა სხვა დელეგატებს არ მიეცემათ სიტყვა ამ საკითხზე.

საბჭოთა დელეგაციის პროტესტი

...ბირნსმა სთქვა, მე როგორც თავმჯდომარე, კამათს არ გავხსნი და სიტყვას არავის მივცემ.

ვიშინსკიმ, რომელიც მეორედ გამოვიდა, განაცხადა, რომ თავმჯდომარე ამყარებს სხდომის წარმოების უპრეცედენტო წესს და კონფერენციის მონაწილეებს საშუალებას არ აძლევს თავიანთი აზრი გამოსთქვან იმ საკითხზე, რომელიც დღის წესრიგში სდგას. „რისთვისღა შეიკრიბა კონფერენცია?—სთქვა მან.—თუ ჩვენ ამისათვის...

კარდელის სიტყვა

იუგოსლავიის დელეგატმა კარდელმა სთქვა, რომ იგი სიტყვას იღებს არა იმისათვის, რომ დაწვრილებით განიხილოს იტალიასთან საზავო ხელშეკრულება, არამედ იმისათვის, რომ გააკეთოს საერთო ხასიათის პრინციპული შენიშვნები.

დღეს,—განაგრძო კარდელმა,—სულ უფრო ნათლად გაისმის აგრესიულ ძალთა ხმა...

ა. ვიშინსკის განცხადება

...საბჭოთა დელეგაცია სთვლის, რომ მას შემდეგ, რაც მოსმენილ იქნა ყოფილი მტრული სახელმწიფოს წარმომადგენლის განცხადება, რომელიც შეიცავს საზავო ხელშეკრულების იმ პროექტზე თავდასხმას, რომლისათვისაც პასუხს აგებენ საგარეო საქმეთა მინისტრები—მინისტრთა საბჭოს წევრები—ამის შემდეგ არ შეიძლება უარი ეთქვათ კონფერენციის მონაწილეებს კონფერენციაზე გამოსვლის უფლებაზე. რაც შეეხება კონფერენციის თავმჯდომარის უარს სიტყვა მისცეს საბჭოთა დელეგაციას, ეს უარი არის დელეგაციის უფლებათა არა მარტო უხეში დარღვევა, არამედ შეურაცხყოფაც საბჭოთა კავშირისათვის. და საბჭოთა დე-...

...ვის დელეგაცია საჭიროდ სთვლის ღრმად შეისწავლოს იტალიის განცხადება. საჭიროა, რომ ამას ხელი მოჰკიდოს კონფერენციის პლენარულმა სხდომამ ისე, რომ დირექტივები მისცეს იმ კომისიებს, რომლებმაც ეს საკითხი დაწვრილებით უნდა შეისწავლონ. ამ მიზნით აუცილებელია, რომ ჩვენ დრო გვქონდეს ამ დეკლარაციის შესასწავლად. ამის შესაბამისად ჩვენ წინადადებას ვიძლევით—შესწყდეს სხდომა და იტალიის საკითხის შესწავლა შეტანილ იქნას უახლოესი სხდომის დღის წესრიგში, სხდომისა, რომელიც ორშაბათს დილით შესდგება.

თავმჯდომარე: შემოტანილი წინადადების შესაბამისად, იტალიის განცხადების შესწავლა ჩა-...

...სას გადასცემოდა, მაგრამ მისი ცდები მთლიანად ჩაიფუშა. თავმჯდომარემ ბირნსმა, რომელიც ისწრაფოდა შეერბილებინა მისი მიზეზით შექმნილი მდგომარეობის უხერხულობა, უარი სთქვა ალექსანდერის წინადადების განხილვაზე და განაცხადა, რომ იტალიის დელეგაციის განცხადების განხილვა გაგრძელდება ხვალინდელი დილის სხდომაზე.

დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა დაჟინებული ცდები ჩაეშალათ ეს განხილვა, ჩაიფუშა. საბჭოთა დელეგაციის მიერ კონფერენციაზე თავის უფლებათა მტკიცე და თანმიმდევრული დაცვა წარმატებით დამთავრდა.

ავსტრიელი ხალხი წმინდად იცავს დაღუპულ საბჭოთა მეომრების ხსოვნას

ვენა, 11 აგვისტო. (საქდესი). გუშინ ვენაში შესდგა სამგლოვიარო მიტინგი, მიძღვნილი წითელი არმიის იმ მეომრების სასაფლაოს გახსნისადმი, რომლებიც დაეცნენ ავსტრიის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში...

სამგლოვიარო მიტინგზე გამოსულმა ვენის საბჭოთა კომენდანტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-ლეიტენანტმა ლებედენკომ ილაპარაკა წითელი არმიის მეომრების კეთილშობილურ გმირობაზე, რომლებიც თავიანთი სისხლი...

...ჩისკაცებმა და ოფიცრებმა სალამის ნიშნად თოფები მოიმარჯვეს.

საბჭოთა მთავარსარდლის გენერალ-პოლკოვნიკ კურასოვის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გენერალ-მაიორმა სტრუკოვმა...

...მიტინგი დამთავრდა ქვემეხთა სამგზის სალუტით დაღუპულ გმირთა—საბჭოთა ხალხის მამაც შვილთა პატივსაცემად. დაღუპულთა საფლავები შემკობილ იქნა გვირგვინებით.

იუგოსლავიის მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ბელგრადი, 12 აგვისტო. (საქდესი). გუშინ გაზეთებმა გამოაქვეყნეს იუგოსლავიის მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი იმის გამო, რომ ამერიკის თვითმფრინავები სისტემატურად ჩნდებიან იუგოსლავიის ტერიტორიაზე.

ნოტაში აღნიშნულია რომ „მიმდინარე წლის თებერვლიდან და ივლისის ჩათვლით...

სსრ კავშირში ჩინეთის ყოფილი ელჩის განცხადება

შანხაი, 11 აგვისტო. (საქდესი). როგორც ჩუნცინის გაზეთი „სინქუაბაო" იუწყება, ჩინეთის ყოფილმა ელჩმა საბჭოთა კავშირში იან ძემ იუნანის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში გააკრიტიკა ჩინეთის მთავრობის პოლიტიკა.

— ამჟამად, — განაცხადა იან ძემ, — ჩვენ ბრმად მივყვებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამერიკის შეერთებული შტატების სურვილით იაპონელები თევზს იჭერენ ჩვენს წყლებში, ხოლო ჩვენი მთავარი საბაჟოს კომისარი ინგლისელია. ყოველივე ეს პრესტიჟის დაკარგვას ნიშნავს.

იან ძემ გულთბილად ილაპარაკა სსრ კავშირზე, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა თავის არმიაზე დაყრდნობით გაანადგურა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფაშისტები.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

14 აგვისტოს, 8 საათზე, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება დოცენტ თავხელიძის ლექცია თემაზე: „ამხანაგ სტალინის ნაშრომი „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა".

სემინარი

14 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, სტალინის სახელობის ორჯონიკიძე-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკაბინეტში მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: „ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". მარქსისტული პარტიის ტაქტიკური საფუძვლები".

სემინარს ჩაატარებს ამხ. ლებანიძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს მუშაკები იუწყებიან ტ. კაკაურიძის მამის დოროთე თეიმურაზის-ძე კაკაურიძის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლექტივი იუწყება ნ. ი. კულიჯანოვას დედის ხანდუხტი კარპის-ასულ კულიჯანოვას გარდაცვალებას. გამოსვენება 14/VIII, 6 ს. ჯავახიშვილის შესახვევი, 6.

ოჯახი იუწყება სიმონ სამსონიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/VIII, 9 ს. გამოსვენება 15/VIII, 5 ს. საბურთალო, აგურის ქ., 2.

მამა ფარნაოზ, ძმები გიორგი, ბენიამინი ოჯახებით იუწყებიან ქეთო ქანთარიას გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ნაფალაურში (სამტრედიის რაიონი) 18/VIII.

ანტონ ისაკის-ძე კაკალიძე იუწყება მეუღლის ქეთო ხარიტონის-ასულ კაკალიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/VIII, 8 ს. გამოსვენება 15/VIII...

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00189